



საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების  
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 36/33

2016 წლის 24 მაისი

ქ. თბილისი

„გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და 23<sup>1</sup> მუხლის მეოთხე პუნქტისა და კომისიის 2003 წლის 7 აგვისტოს № 12 დადგენილებით დამტკიცებული „ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების“ 29-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვეტა:

1. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/2 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) 4.1.1.–4.1.2. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1.1. ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ იგი რეგისტრირებულია კვალიფიციურ საწარმოდ როგორც განაწილების ლიცენზიატი, პირდაპირი მომხმარებელი, ექსპორტიორი, ან ელექტროსადგურის მფლობელი პირი ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში;

4.1.2. საანგარიშო პერიოდში მიწოდების პუნქტებში მიღებული აქვს ელექტროენერგია მისი განაწილების და ელექტროენერჯის საცალო მომხმარებლებისათვის გატარების, პირდაპირი მოხმარების, ექსპორტის ან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში ელექტროსადგურის საკუთარი მოხმარების მიზნებისთვის.“;

ბ) 6.4. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.4<sup>1</sup>. პუნქტი:

6.4<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა საწარმო ელექტროენერჯის მიღება-ჩაბარების აქტს ან/და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) მონაცემებს, საწარმომ უნდა გადარიცხოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ანგარიშზე საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში (ანგარიშ-ფაქტურაში) აღნიშნული თანხა. ვალდებულება სრულად შესრულებულად ითვლება, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე საბალანსო ელექტროენერჯის სრული ღირებულების ჩარიცხვის დღეს. საწარმო ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების დროს, საგადახდო დავალებაში მიუთითოს გადახდის დანიშნულება (დავალიანების დასახელება, რომლის დაფარვაც ხდება).

იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალებაში მითითებული არ იქნება გადახდის დანიშნულება და გადახდილი თანხა არ იქნება საკმარისი ბაზრის ოპერატორის წინაშე არსებული ყველა ვალის დასაფარად, ვალის დაფარვა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის პირობების შესაბამისად, ხოლო თანაბარი სიმძიმის მოთხოვნების შემთხვევაში, ბაზრის ოპერატორი გადახდილი თანხის გადანაწილებას მოახდენს საბალანსო ელექტროენერჯისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დავალიანებებს შორის პროპორციულად.“.

2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (ნ. ლაშხია), დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება კომისიის შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას და კომისიის ვებ-გვერდზე ([www.gnerc.org](http://www.gnerc.org)).
5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტს (ნ. ბერიძე).

თავმჯდომარე

კომისიის წევრი

კომისიის წევრი



ი. მილორავა

გ. შონია

გ. ფანგანი